1995-1999 წლებში იგი ბაღდადის ისლამის უნივერსიტეტში სწავლობდა ისლამის კანონების (შარიათის) ფაკულტეტზე.

1999-2010 წლებში იასინ ალიევი საქართველოში კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლის პირველ მოადგილედ და თბილისის ჯუმა მეჩეთის იმამ-ხატიბად მუშაობდა.

2011 წელს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს დაფუძნების დღიდან 2013 წლის დეკემბრამდე მას სრულიად საქართველოს შეიხის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა. 2013 წლის 27 დეკემბერს აზერბაიჯანელ სუნიტ მუსლიმთა უმაღლესი რელიგიური საბჭოს გადაწყვეტილებით იასინ ალიევი ერთხმად აირჩიეს აღმოსავლეთ საქართველოს მუფთის პოზიციაზე და დღემდე იკავებს აღნიშნულ თანამდებობას.

იგი დაოჯახებულია და ჰყავს ორი ქალიშვილი.

## BIOGRAPHY OF YASIN ALIEV

Yasin Musa Aliev was born on January 1, 1970 in the village of Irganchai, Dmanisi municipality.

In the years of 1977-1987 he studied at high school of the village of Irganchai.

During the years of 1988-1990 he served in a compulsory military service.

In 1990 he was enroled in the Faculty of Theology and Islamic Studies at the Islamic University of Baku which he successfully completed in 1995.

During the years of 1995-1999 he studied in Baghdad University of Islam, at the Faculty of Islamic Law (Sharia).

In the years of 1999-2010 Yasin Aliev served as the First Deputy Representative in Georgia of the Administration of Muslims of the Caucasus and the Imam Khatib of Tbilisi Juma Mosque. Since the establishment of the Administration of Muslims of All Georgia in 2011 till December 2013, he held the position of the First Deputy Sheikh of All Georgia. On December 27, 2013 by the decision of the Supreme Religious Council of the Azerbaijani Sunni Muslims, Yasin Aliev was unanimously elected to the position of the Mufti of East Georgia and he still holds this position.

He is married and has two daughters.



იმამ ალის მეჩეთი 1739 წ. -
Imam Ali Mosque 1739 y



ბათუმის მეჩეთი - Batumi Mosque

მარნეულის მეჩეთი - Marneuli Mosque





იმამ ჰუსეინის მეჩეთი (ახალი) 2014 წ. - Imam Hussein Mosque (New) 2014 y



აჰლიბეითის მეჩეთი 2008 წ. -
Ahlibait Mosque 2008 y



სეზონური მეჩეთი - XX-XXI ს. - Seasonal Mosque - XX-XXI c.



სომეხთა სამოციქულო
მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის
საქართველოს ეპარქია



# DIOCESE OF THE ARMENIAN APOSTOLIC ORTHODOX HOLY CHURCH IN GEORGIA



## ვაზგენ მირზახანიანის ბიოგრაფია

ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი 1965 წლის 21 ივლისს დაიბადა ეჯმიაწინის რაიონის სოფელ არტიმედში (ყოფილი ათარბეკიანი).

1971-82 წლებში იგი სწავლობდა და დაამთავრა ადგილობრივი საშუალო სკოლა.

1982 წელს იგი ჩაირიცხა მთავარი საკათედრო წმინდა ეჯმიაწინის გევორგიან სასულიერო სემინარიაში.

1984-86 წლებში იგი მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1989 წლის 7 მაისს მთავარეპისკოპოსი სანთურიანის მიერ იგი ხელდასმულ იქნა დიაკვანად.

1991 წლის 28 ივლისს მთავარ საკათედრო წმიდა ეჯმიაწინში მთავარეპისკოპოს ნერსეს პოზაპალიანის მიერ იგი ხელდასმულ იქნა მღვდელმონაზვნად და მიწვეულ იქნა ლექციების წასაკითხად გევორგიან სასულიერო სემინარიასა და ქსქც-ში.

1993-95 წლებში იგი მთავარ საკათედრო წმინდა ეჯმიაწინთან არსებული საკვირაო სკოლის გამგე-დირექტორი იყო.

1995 წელს ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის უწმინდესისა და უნეტარესის გარეგინ პირველის მაღალი განკარგულებით იგი დაინიშნა ქსქც-ს გამგე-დირექტორად. იგი წარმატებით ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა 26 დასახელების სასულიერო ლიტერატურა, რელიგიის სახელმძღვანელოები და მასწავლებელთა სასწავლო სახელმძღვანელოები. მან ასევე დააფუძნა ორკვირეული გაზეთი “ქრისტიანული სომხეთი“ და მოამზადა ყოველდღიური რელიგიური გადაცემების ციკლი.

1996 წელს მან წარადგინა და დაიცვა საარქიმანდიტრო დისერტაცია “წმინდა გრიგორ ტათევაცის „ჰარცმანც“ და „ვოსკეფორიკ“ წიგნების წყაროები“.

1996 წლის 20 ივნისს კათოლიკოსის გარეგინ პირველის ხელდასხმით მან არქიმანდრიტის ხარისხი მიიღო.

1997-99 წლებში არცახის ეპარქიის წინამძღვრის მთავარეპისკოპოს მარტიროსიანის მხარდაჭერით მან ორგანიზება გაუწია არცახის და ქაშათაღის ქრისტიანული რელიგიის სკოლების მასწავლებელთა გადამზადების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების საქმეს.

2002 წლის 4 სექტემბერს უწმინდესისა და უნეტარესის ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის მიერ იგი დაინიშნა საქართველოს სომეხთა ეპარქიის წინამძღვრად.

2003 წლის 23 ივლისს უწმინდესისა და უნეტარესის ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის გარეგინ მეორის მიერ ვაზგენ მირზახანიანი ხელდასმულ იქნა ეპისკოპოსად.

## BIOGRAPHY OF THE PRIMATE OF THE DIOCESE OF THE ARMENIAN APOSTOLIC CHURCH IN GEORGIA, HIS GRACE BISHOP VAZGEN MIRZAKHANYAN

His Grace Bishop Vazgen Mirzakhanyan (the real name Edward) was born on July 21, 1965, in the village of Artimed (formerly Atarbekyan), Armavir Region.

From 1982 to 1989 he studied and graduated from the Gevorkian Theological Seminary of the Mother See of Holy Etchmiadzin. From 1984 to 1986 he served in the Soviet Army. On May 7, 1989, was ordained a deacon by His Grace Archbishop Husik Sandourian.

In 1990 Mirzakhanyan defended his dissertation on the theme "Grigor Vardapet Skeratsi's life and literary inheritance" and got an excellent mark.

On July 28, 1991, with the solemn blessing of His Holiness Vazgen I, Supreme Patriarch and Catholicos of All Armenians,Vazgen Mirzakhanyan was ordained a friar in the Mother See of Holy Etchmiadzin by His Grace Archbishop Nerses Pozapalian. After the ordaining, he got down to work in the Gevorkian Theological Seminary and the newly opened Christian Education Center.

In 1993-95 he was the head of the adjacent Sunday School of the Mother See of Holy Etchmiadzin and the school of Araratian Pontifical Diocese.

From 1995 to 1999 under the leadership of His Holiness Karekin II ,Supreme Patriarch and Catholicos of All Armenians, he was appointed the managing director of the reorganized CEPC. Before the end of his tenure, he organized training courses for teachers of Christian Teaching in a number of cities of Armenia and Artsakh. During that period, the CEPC published 26 books of spiritual literature, religious textbooks and teacher training manuals. The "Qristonya Hayastan" weekly newspaper has been established, the daily “Sireq zmimeants”, the Saturday “Khoran lusoy” and the Sunday children’s religious “Aravot lusoy” TV programmes were realized.

In 1996 he presented and defended the doctrinal thesis on the theme "The sources of speech of Fathers of church in St. Grigor Tatevatsi's" Hartsmants" and " Voskeporik" books.

On June 20,1996, in the Mother See of Holy Etchmiadzin Altar by His Holiness Karekin II, the Supreme Patriarch and Catholicos of All Armenians , he received four degrees of private doctrine.

On December 1, 1999, under the Patriarchal authority of His Holiness Karekin II, Supreme Patriarch and Catholicos of All Armenians , he was appointed a vicar of the Aragatsotn Diocese.

In 2001 at the initiative of His Grace Vazgen Vardapet Mirzakhanyan and with the support of Aragatsotn regional authorities and the Mother See, the subject of Christian religion has been officially included in the general education schools of Aragatsotn region.

During his work from 2000 to 2002, the reconstruction of the monastic complexes of "Surb Gevorg" and "Saghmosavank" of Mughni , the churches of "Surb Hovhannes " of Byurakan, “Surb Khach” of Aparan and "Surb Mesrop Mashtots" of Oshakan were completed and their rededication ceremonies were arranged.

"Aragatsotn" weekly newspaper was published during the mentioned period.

On September 4,2002, under the Patriarchal authority of His Holiness Karekin II, Supreme Patriarch and Catholicos of All Armenians, Vazgen Mirzakhanyan was appointed the Primate of the Diocese of the Armenian Apostolic Church in Georgia.

On June 23, 2003 ,by His Holiness Karekin II, Supreme Patriarch and Catholicos of All Armenians, he has been ordained a bishop.

Since 2006 ,His Grace Bishop Vazgen Mirzakhanyan is a member of the Supreme Spiritual Council of the Armenian Apostolic Church.

From 2003 to 2018 in the Diocese of the Armenian Apostolic Church in Georgia about 46 churches and chapels were built, renovated and dedicated in Tbilisi, Akhaltsikhe, Akhalkalaki, Aspindza, Batumi, Tetri-Tskharo, Tsalka, Marneuli, Ninotsminda cities and regions.

During the leadership of His Grace Bishop Vazgen Mirzakhanyan, "Hayartun", "Vazgen I Catholicos of All Armenians", "Karapet Archbishop Bagratuni "," Khrimyan Hayrik "," Alexander Mantashyants "," Rafael Javakh " and " St. Grigor Narekatsi " educational, cultural and youth centers were established where groups and ensemble of singing, dance, folk instruments, recitations, vocal tools, computer training and aesthetic education are operating. Preschools, Saturday and Sunday schools are operating as well.

In order to make the activity of the Dioceses effective, a flexible management system has been introduced in education, culture, youth, press and media, law and cooperation, financial- administrative and social departments. The Diocese is replenished with priests and deacons, and the number of employees has increased dramatically.

Hovhannes Tumanyan's house was acquired, which after the renovation and furnishing became H. Tumanyan’s Scientific-Cultural Center.

Over a dozen of valuable books and albums have been published in collaboration with the Union of Writers of Georgia, "Vernatun" Union of Armenian Writers in Georgia and individual figures. "Norashen" magazine was published as well.

The diocese's website has been set up.

The buildings of the Diocese of Prelacy and "Hayartun" center in Tbilisi, the building of "Khrimyan Hayrik"center in the village of Arakova ,Akhalkalaki region were built, the buildings of "Alexander Mantashyats" center in Batumi and "Rafael Javakh" in Ninotsminda were acquired, which were renovated and furnished.

During the mentioned period, dozens of cross-stones and monuments have been raised and dedicated in the Armenian-populated cities and villages of Georgia.

Community and non-governmental organizations have been established to promote spiritual, educational, cultural and youth activities. Traditional and ritual traditions have been restored, and the culture of Armenian cuisine has been widely spread.

Practical and friendly terms were established together with the Georgian Orthodox Church Patriarchate, the Georgian government and religious and national communities in Georgia.

Close cooperation has been established with Mother Country Armenia, pan-Armenian structures and Armenian diaspora.



თბილისის ეკლესია სურბ ეჭმიაწინი (1805წ.)
Surb Etchmiadzin Church (1805)



თბილისის საკათედრო ტაძარი
სურბ გევორგი (1251წ.)
Surb Gevorg Cathedral of Tbilisi (1251)



ახალქალაქის ეკლესია სურბ ხაჩი (1830წ. ) Surb Khach Church of Akhalkalaki(1830)

თბილისის სურბ გევორგ საკათედრო ტაძრის ინტერიერი (1251წ. ) The interior of Surb Gevorg Cathedral in Tbilisi.






ბათუმის ეკლესია სურბ ფრკიჩი (1879წ.)
Surb Prkich Church of Batumi (1879)

# საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრება

# SPIRITUAL ASSEMBLY OF YAZIDIS OF GEORGIA



## დიმიტრი ფირბარის ბიოგრაფია

დიმიტრი ფირბარი დაიბადა 1978 წელს თბილისში. 1999 წელს მან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სპეციალობით მწვანე მშენებლობის არქიტექტურა დაამთავრა, ხოლო 2004 წელს - თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია და საერთაშორისო ურთიერთობები.

2003 წელს მან საგანმანათლებლო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს ეზიდური თემის ახალგაზრდებში და ატარებდა ეზიდური რელიგიის შემსწავლელ კურსებს. იგი მუშაობდა ეზიდური გაზეთის „ახალი მზერა" სარედაქციო კოლეგიაში.

2003 წლიდან ფირბარი გამოსცემს სტატიებსა და მონოგრაფიებს ეზიდების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ეზიდური რელიგიის შესახებ.

2011 წელს იგი ეზიდთა სათემო ცენტრის დაარსების ინიციატორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. იმავე წელს მან რელიგიური ორგანიზაცია „ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში" დააარსა.

2011 წელს ეზიდთა სასულიერო საბჭომ ითავა ეზიდთა უმაღლესი სასულიერო საბჭოს დელეგაციის ჩამოყვანა ერაყიდან, რამაც დიდი ბიძგი მისცა ეზიდური რელიგიის აღორძინებას საქართველოში.

2014 წელს ფირბარი საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოს წინამძღოლად აირჩიეს.

იგი რეგულარულად ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, და სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებებში მოწვევით კითხულობს ლექციებს ეზიდური რელიგიისა და ისტორიის შესახებ.

დიმიტრი ფირბარი გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული წევრია.

მან მეგობრული ურთიერთობები დაამყარა სხვადასხვა რელიგიების სასულიერო ლიდერებთან, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

დიმიტრი ფირბარი ეზიდი საზოგადო და რელიგიური მოღვაწე, თეოლოგი, და აღმოსავლეთმცოდნეა. იგი ეზიდური წმინდა ტექსტების, საღვთისმეტყველო კვლევების, ეზიდების ისტორიასა და ეთნოგრაფიას მიძღვნილი სტატიების და მონოგრაფიების ავტორია. ეზიდთა სასულიერო კერა, რომელიც თბილისში მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა, წარმოადგენს სასულიერო ცენტრს არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონში მცხოვრები ეზიდებისათვის.

## BIOGRAPHY OF DIMITRI PIRBARI

Dimitri Pirbari was born in 1978 in Tbilisi. In 1999 he graduated from the Georgian Agricultural University, specializing in Architecture of Green Construction and in 2004 - Tbilisi Institute of Asia and Africa, the faculty of history of the Eastern Countries and International Relations.

In 2003 he started educational activities and conducted the courses of Yezidi religion for the youth of Yezidi community of Georgia. He worked in the editorial board of Yezidi newspaper “Akhali Mzera”.

Since 2003 Pirbari has been publishing articles and monographs about the history of Yezidis, ethnography and the Yezidi religion.

In 2011 he was the initiator and one of the founders of the Yezidi Community Center. In the same year he established the religious organization “Spiritual Assembly of Yazidis of Georgia”.

In 2011 the “Spiritual Assembly of Yazidis” invited the delegation of the Supreme Spiritual Assembly of Yazidis from Iraq that gave impetus to the revival of the Yezidi religion in Georgia.

In 2014 Pirbari was elected as the Head of the “Spiritual Assembly of Yazidis of Georgia”.

He regularly participates in international scientific conferences and conducts lectures on the Yezidi religion and history at various higher education institutions.

Dimitri Pirbari is an associate member of Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies.

He established friendly relations with religious leaders of different religions both in Georgia and abroad.

Dimitri Pirbari is a public and religious figure, theologian and Orientalist. He is the author of articles and monographs dedicated to the history and ethnography of Yezidis, Yezidi sacred texts and theological studies. The Yezidis Spiritual Centre founded in Tbilisi with his direct initiative and efforts is a religious center not only for the Yezidis living in Georgia but also in the region.



ეზიდთა სასულიერო ტაძარი
Yezidi Religious Temple



# საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

# EVANGELICAL LUTHERAN CHURCH OF GEORGIA



## მარკუს შოხის ბიოგრაფია

მარკუს შოხი 1966 წლის 4 მარტს გერმანიაში დაიბადა. 1985 წელს მან შვების ჰალის გიმნაზია ეკონომიკური მეცნიერებების განხრით დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან სამოქალაქო სამსახური გაიარა (სავალდებულო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ) დიაკონიის მოხუცებულთა სახლში.

1987-1988 წლებში იგი ბერძნულ და ლათინურ ენებს სწავლობდა ევანგელური ეკლესიის ენების კოლეჯში, შტუტგარტში.

1988-1990 წწ იგი ტიუბინგენის ევანგელური თეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ამასთანავე შეისწავლა ებრაული ენა.

1990-1991 წლებში შოხი სწავლობდა ლაიფციგის ევანგელურ უმაღლეს სასწავლებელში. 1991-1992 წლებში მან გერმანიის აკადემიური გაცვლითი პროგრამის დაფინანსებით გაიარა ეკუმენური სასწავლო პროგრამა რომის-კათოლიკურ ბენედიქტიანელთა სააბატოში სახელად “დორმიციო მარია” იერუსალიმის სიონის მთაზე.

1992-1996 წლებში იგი სწავლას აგრძელებდა ტიუბინგენის უნივერსიტეტის ევანგელური თეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც თეოლოგიაში დიპლომით დაასრულა. სწავლის დამთავრების შემდეგ მან ერთწლიანი პრაქტიკა იერუსალიმის მაცხოვრის ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიაში გაიარა.

1997-1999 წლებში შოხი ვიკარი იყო, 1999 წელს კი ვიურტემბერგის ევანგელურ-ლუთერული სამხარეო ეკლესიის პასტორი გახდა, რის შემდეგაც 1 წლით მიიღო პასტორის ადგილი ჰაიდენჰაიმში/ბრენცში.

2000-2004 წწ იგი პასტორად მსახურობდა სამარაში (რუსეთი).

2004-2012 წლებში იგი ზინდელფინგენის (შტუტგარტის მახლობლად) სამრევლოს პასტორი გახდა.

2012-2017 წწ იგი გერმანიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მიერ რიგაში წარგზავნილი პასტორი იყო და ლატვიის გერმანულ ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას ედგა სათავეში.

2017 წლის ნოემბრიდან მარკუს შოხი საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსია.

## BIOGRAPHY OF MARCUS SHOKH

Marcus Shokh was born on the 4th of March, 1966 in Germany. In 1985 he graduated from the Schwabisch Hall Gymnasium in Economic Sciences. After graduating from school he was in the civil service (in exchange for compulsory military service) at the house for elderly people of Diaconia.

During the years of 1987-1988 he studied Greek and Latin languages at the College of Evangelical Church Languages in Stuttgart.

In 1988-1990 he studied at the Faculty of Evangelical Theology at Tubingen, He also learned the Hebrew Language.

During the years of 1990-1991 Marcus Shokh studied at Leipzig Evangelical University.

In 1991-1992 he completed the ecumenical training program funded by the German academic exchange program in the Roman-Catholic Benedictine Abbey named „Dormition Maria“ on Mount Zion in Jerusalem.

During the years of 1992-1996 he continued his studies at the faculty of Evangelical Theology of Tubingen University which he completed with Diploma in Theology. After graduating he took a one-year practice in the Evangelical Lutheran Church of the Savior of Jerusalem.

In 1997-1999 Shokh was a vicar and in 1999 became a pastor of the Evangelical-Lutheran Regional Church of Wurttemberg after which he pastored in Heidenheim/Brenz for a year.

In 2000-2004 he served as a pastor in Samara (Russia).

During the years of 2004-2012 he was a pastor of the parish of Sindelfingen (near Stuttgart).

In 2012-2017 he was a pastor sent to Riga by the Evangelical-Lutheran Church of Germany and headed the German Evangelical-Lutheran Church of Latvia.

Since November 2017 Marcus Shokh has been the bishop of Evangelical-Lutheran Church of Georgia and South Caucasus.



თბილისის ევანგელურ-ლუთერული ეკლესია - Evangelical Lutheran Church of Tbilisi





თბილისის ევანგელურ-
ლუთერული ეკლესია -
Evangelical Lutheran
Church of Tbilisi



# საქართველოს სახარების ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი

# UNION OF EVANGELICAL CHRISTIAN BAPTIST CHURCH OF GEORGIA



## გია კანდელაკის ბიოგრაფია

გია კანდელაკი დაიბადა 1967 წლის 4 ივნისს ქ. ყვარელში. იგი საქართველოს სახარებისეულ ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის პრეზიდენტია (ეპისკოპოსი).

1985-1987 წლებში მან სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა.

1988 წელს მან თელავის საამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა.

1992 წლიდან იგი ყვარლის ბაპტისტური ეკლესიის წევრია.

1994-2001 წლებში იგი თეოლოგიურ სემინარიაში სწავლობდა.

1995 წელს მასზე მოხდა სადიაკვნო ხელდასხმა, ხოლო 2002 წელს იგი ყვარლის ბაპტისტურ ეკლესიაში ხელდასმული ხუცესი გახდა.

გია კანდელაკი სოციალურ-ჰუმანიტარულ პროექტებში იყო ჩართული და დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა ყველა დაკისრებული მოვალეობის მიმართ. ამის გამო მას ნდობა გამოუცხადეს საქართველოს სახარებისეულ ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიებმა და 2015-2019 წლებში, ოთხი წლის ვადით, კავშირის მთავარ ეპისკოპოსად აირჩიეს.

გია კანდელაკი მოწოდებულია ბაპტისტურ ეკლესიებთან ერთად მრავალი სიკეთე გააკეთოს, თესოს სიყვარული და გვერდში დაუდგეს ქართულ სახელმწიფოს არსებული პრობლემების აღმოფხვრაში.

მას ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

## BIOGRAPHY OF GIA KANDELAKI

Gia Kandelaki was born on the 4th of June, 1967 in Kvareli. He is the president (Bishop) of the Union of Evangelical Christian Baptist Church of Georgia.

During the years of 1985-1987 he was conscripted for compulsory military service.

In 1988 he graduated from Telavi Technical College.

Since 1992 he has been a member of Kvareli Baptist Church.

In 1994-2001 he studied at the Theological Seminary.

In 1995 he was an ordained deacon and in 2002 he became an ordained priest in the Kvareli Baptist Church.

Gia Kandelaki was involved in socio-humanitarian projects and was distinguished with a great responsibility towards all of the duties imposed. Because of this he was recognized by the Evangelical Christian Baptist Churches of Georgia and was elected as the Chief Bishop of the Union for four years (2015-2019).

Gia Kandelaki is committed together with the Evangelical Christian Baptist Churches of Georgia to do a lot of good things, spread love around and support the Georgian state in solving the existing problems.

He has a wife and two daughters.



თბილისის ეკლესია, 2017 წ. - Tbilis Church  2017 y





გურჯაანის ეკლესია, 1991 წ. - Gurjaani Church 1991 y

ყვარლის ეკლესია, 1996 წ. - Kvareli Church 1996 y



# თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია

# INTERNATIONAL BAPTIST CHURCH OF TBILISI



## ჩარლზ ჰობლიცის ბიოგრაფია

ჩარლზ ჰობლიცი დაიბადა 1940 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ქალაქ მერილენდში ბალტიმორის შტატში.

1958-1962 წლებში მან ამერიკის სამხედრო სამსახურში იმსახურა, სადაც მიიღო AM2 (Avation Mechanic) წოდება.

1964–1970 წლებში იგი თეოლოგიურ უნივერსიტეტში სწავლობდა და თეოლოგიაში ბაკალავრის ხარისხი მიიღო. ამავე წლებში მან წარმატებით დაამთავრა ლუიზიანას ბაპტისტური სემინარია.

1998 წელს მას „ღვთისმეტყველების დოქტორის“ წოდება მიენიჭა.

1970-1972 წლებში ჰობლიცმა მერილენდში, ბალტიმორის შტატში ქრისტიანული დაწყებითი სკოლა დააარსა, რომელშიც 400-მდე ბავშვი სწავლობდა.

1972 წელს იგი შეუერთდა BIMI (Baptist International Missions Inc) მისიონერულ საზოგადოებას და წარგზავნილ იქნა მისიონერად სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ მოზამბიკში, შემდგომ კი გერმანიაში.

1993 წელს იგი შეუერთდა BIEM (Baptist International Evangelistic Ministry) მისიონერულ საზოგადოებას და მისიონერად მსახურობდა რუსეთში, კერძოდ სანქტ-პეტერბურგში.

ამჟამად იგი მისიონერად მსახურობს საქართველოში, სადაც 2002 წელს დააარსა თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია, რომელიც წარმატებით განაგრძობს ფუნქციონირებას.

ჩარლზ ჰობლიცი აქტიურადაა ჩაბმული ქრისტიანულ მსახურებაში ორმოცდაექვსი წლის განმავლობაში. იგი წარმოადგენს საერთაშორისო ბაპტისტურ ეკლესიებს ამერიკაში.

ჰობლიცი ემსახურებოდა ღმერთს მოზამბიკში, სამხრეთ აფრიკაში, გერმანიაში, რუსეთში და საქართველოში. იგი არიგებდა ბიბლიებს და ქრისტიანულ ლიტერატურას ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში. იგი იძიებდა და არიგებდა ჰუმანიტარულ დახმარებებს უპატრონო და უსახლკაროთა თავშესაფრებისთვის, ეხმარებოდა გაჭირვებულებს და ხელს უწყობდა სამედიცინო მისიებს, რათა დახმარებოდნენ ავადმყოფებს და სნეულებს. ნერგავდა დამოუკიდებელ ბაპტისტურ ეკლესიებს და ასწავლიდა ბიბლიას. ჩარლზ ჰობლიცი აგრძელებს ქადაგებას ჯვარცმულ იესო ქრისტეზე, რომელიც აღდგა მკვდრეთით და ყველას სთავაზობს საუკუნო სიცოცხლეს ვინც იწამებს, მოინანიებს ცოდვებს და მიიღებს ქრისტეს პირად მხსნელად და უფლად.

ჩარლზ ჰობლიცი დაოჯახებულია და ჰყავს ორი შვილი.

## BIOGRAPHY OF CHARLEZ HOBLITZ

Charlez Hoblitz was born in 1940, in Baltimore, Maryland, U.S.A.

From 1958 to 1962 he served in the United States Military Service where he achieved the title of AM2 (Avation Mechanic).

During the years of 1964 to 1970 he studied at the Theological University and was conferred a Bachelor's Degree in Theology. In the same period he successfully graduated from Louisiana Baptist Seminary.

In 1998 he was awarded the title of the "Doctor of Theology".

In 1970-1972 Hoblitz established the Christian Elementary School in Baltimore, Maryland where up to 400 students studied.

In 1972 he joined BIMI (Baptist International Missions Inc) the missionaey society and was sent as a missionary to South Africa, namely Mozambique and later to Germany.

In 1993 he joined BIEM (Baptist International Evangelistic Ministry) the missionary society and served as a missionary in St. Petersburg, Russia.

He is currently serving as a missionary in Georgia where he founded Tbilisi International Baptist Church in 2002, which continues functioning successfully.

Charles Hoblitz has been actively involved in Christian service during the forty-six years. He represents the International Baptist Churches in America.

Hoblitz served God in Mozambique, South Africa, Germany, Russia and Georgia. He distributed Bibles and Christian literature in the above mentioned countries. He collected and distributed humanitarian aid for lonely and homeless shelters, assisted the poor and promoted medical missions to help patients and sick people. He was introducing independent Baptist churches and was teaching the Bible. Charles Hoblitz continues preeching the crucified Jesus Christ who resurrected from the dead and offers eternal life to everyone who will believe, will repent of their sins and accept Christ as their personal Savior and Lord.

Charles Hoblitz is married and has two children.



# საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია

# EVANGELICAL-PROTESTANT CHURCH OF GEORGIA



## გიორგი ჩიტაძის ბიოგრაფია

გიორგი ჩიტაძე 1969 წლის 27 მარტს, საქართველოში, გორის რაიონის სოფელ ყელქცეულში დაიბადა. იგი ბავშობიდან მორწმუნე იყო, რის გამოც საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დროს დევნას განიცდიდა. სწორედ ამ მოტივით იგი გორის რაიონის სოფელ ყელქცეულის საშუალო სკოლის მე-8 კლასიდან დაითხოვეს. შემდეგ მან სწავლა განაგრძო ქ. თბილისში, სადაც რეგულარულად დადიოდა ქ. თბილისის სახარების რწმენის ეკლესიაში.

1989 წელს გიორგი ჩიტაძე სასწავლებლად საბჭოთა კავშირში პირველ თეოლოგიურ საწავლებელში ლატვიის ქალაქ ელგავაში გაემგზავრა. ერთი წლის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და მისი თაოსნობით საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიაში პირველი ბიბლიური სკოლა გაიხსნა. მალევე გიორგი თბილისის სახარების რწმენის ეკლესიის ახალგაზრდული მსახურების ხელმძღვანელი გახდა.

1993 წელს საერთაშორისო ქრისტიანი მქადაგებლის, ბერტ კლენდენენის მიერ საქართველოში ქრისტიანული კოლეჯის, „ქრისტეს სკოლა“, წარმომადგენლობა გაიხსნა, სადაც გიორგი ჩიტაძე მიიწვიეს მასწავლებლად.

1995 წელს გიორგი ჩიტაძე დაბრუნდა ქ. გორში სადაც ეკლესიის პასტორი გახდა. 1996 წლიდან მისი ხედვით დამოუკიდებლად დაიწყო ჩამოყალიბება საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ, რომლის პასტორი და წინამძღვარი გიორგი ჩიტაძე იყო.

მალევე საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულმა ეკლესიამ დაიწყო ეკლესიური მსახურებები ქარელისა და ხაშურის რაიონებში და ასევე ქალაქ რუსთავში. პასტორი გიორგი ჩიტაძე გახდა ამ მოძრაობის უფროსი პასტორი.

2003 წელს პასტორმა დაამთავრა საერთაშორისო უნივერსიტეტის "სიცოცხლის სიტყვა" პასტორების აკადემიური სწავლების სრული კურსი ქალაქ მოსკოვში.

2004 წელს პასტორი გიორგი ჩიტაძე საცხოვრებლად ქ. რუსთავში გადავიდა სადაც ადგილობრივი ეკლესიის პასტორი გახდა.

პასტორი გიორგი ჩიტაძე დღესაც ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. რუსთავში,

მას მეუღლე და ოთხი შვილი ჰყავს.

## BIOGRAPHY OF GIORGI CHITADZE

Giorgi Chitadze was born on March 27, 1969 in the village of Kelktseuli of the Gori district, Georgia. He was a believer from childhood because of which he was persecuted during the communist regime in Georgia. It's for this reason he was dismissed from the 8th grade of the high school in the village of Kelktseuli, Gori district. Then he continued his studies in Tbilisi where he regularly went to Tbilisi Evangelical Faith Church.

In 1989 Giorgi Chitadze left for Latvia in the city of Elgava to study in the first theological school of the Soviet Union. One year later he returned to Georgia and opened the first Biblical School in the Evangelical Faith Church of Georgia. Soon after, Giorgi became the head of the Youth Service of Tbilisi Evangelical Faith Church.

In 1993 the representation of the Christian College "School of Christ" was opened in Georgia by Bert Klendenen, international Christian preacher, where Giorgi Chitadze was invited as a teacher.

In 1995 Giorgi Chitadze returned to Gori where he became a pastor of the church.

Since 1996 the Georgian Evangelical-Protestant Church began to develop independently according to his vision, the pastor and head of which was Giorgi Chitadze.

Soon after, Evangelical-Protestant Church of Georgia began conducting church services in Kareli and Khashuri districts and also in the city of Rustavi. Pastor Giorgi Chitadze became the senior pastor of this movement.

In 2003 the pastor graduated from the full course of pastors' academic teaching of the international university "Word of Life" in Moscow.

In 2004 pastor Giorgi Chitadze moved to Rustavi where he became a pastor of the local church.

Pastor Giorgi Chitadze still lives and works in Rustavi.

He has a wife and four children.

## შმაგი ჭანკვეთაძის ბიოგრაფია

შმაგი ჭანკვეტაძე დაიბადა 1970 წლის 26 მაისს ქალაქ ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში. იგი ათეისტურ გარემოში იზრდებოდა და სწავლობდა სოფელ ვაჭევის საშუალო სკოლაში. რვა კლასის დამთავრების შემდეგ მან სწავლა ქ. თბილისის მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში განაგრძო.

1992 წელს იგი დაბრუნდა ქ. ჭიათურაში, გახდა ქ. ჭიათურის სახარების რწმენის ეკლესის წევრი და მოკლე პერიოდში - ეკლესიის მსახური. დასაწყისში იგი მსახურობდა ქება-დიდების ჯგუფში და ეხმარებოდა პასტორს მახარობლურ საქმიანობაში.

1993 წელს იგი საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის ეკლესიის ხელმძღვანელი გახდა.

1994 წელს შმაგი ჭანკვეტაძემ ქ. თბილისში ბიბლიის საფუძვლების შემსწავლელი კოლეჯი “ქრისტეს სკოლა” დაამთავრა.

1995 წელს მან დაიწყო ეკლესიური მსახურება ქ. ხაშურში სადაც ადგილობრივი ეკლესიის პასტორი გახდა.

1996 წელს შმაგი ჭანკვეტაძე პასტორ გიორგი ჩიტაძესთან ერთად საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის სულიერი საბჭოს წევრი გახდა.

1999 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა ქ. გორში და გახდა პასტორ გიორგი ჩიტაძის დამხმარე და გორის ეკლესიის ადმინისტრატორი. ამავე დროს იგი იყო ქ. ხაშურის ეკლესიის პასტორი.

2003-2004 წლებში შმაგი ჭანკვეტაძემ დაამთავრა საერთაშორისო უნივერსიტეტის `სიცოცხლის სიტყვა” პასტორების აკადემიური სწავლების სრული კურსი ქალაქ ერევანში.

2004 წელს შმაგი ჭანკვეტაძე ქ. გორის ეკლესიის პასტორი გახდა.

მას მეუღლე და სამი ქალიშვილი ჰყავს.





## BIOGRAPHY OF SHMAGI CHANKVETADZE

Shmagi Chankvetadze was born on May 26, 1970 in the village of Vachevi, Chiatura region. He grew up in an atheistic environment and studied at secondary school of the village of Vachevi. After graduating from the eighth grade he continued his studies in Tbilisi Mose Toidze Art School.

In 1992 he returned to Chiatura, became a member of the Evangelical Faith Church of Chiatura and in a short period of time – the church servant. In the beginning, he served in the group of fame and assisted the pastor in the evangelical activity.

In 1993 he became the head of the church in the village of Korbouli, the Sachkhere district.

In 1994 Shmagi Chankvetadze graduated from Tbilisi College of Bible Studies “School of Christ”.

In 1995 he began conducting church service in Khashuri where he became a pastor of the local church.

In 1996 Shmagi Chankvetadze together with the pastor Giorgi Chitadze became a member of the Spiritual Board of the Evangelical-Protestant Church of Georgia.

In 1999 he moved to live in Gori and became an assistant of the pastor Giorgi Chitadze and administrator of the Gori church. At the same time he was a pastor of Khashuri church.

In the years of 2003-2004 Shmagi Chankvetadze graduated from the full course of pastors’ academic teaching of the international university “Word of Life” in the city of Yerevan.

In 2004 Shmagi Chankvetadze became a pastor of Gori Church.

He has a wife and three daughters.



რუსთავის ტაძარი, 2005 წ. -  Rustavi Church 2005 y



რუსთავის ტაძარი, 2005 წ. - Rustavi Church 2005 y







გორის ტაძარი, 2005 წ. - Gori Church 2005 y

სახარების რწმენის ეკლესია

EVANGELICAL FAITH
CHURCH OF GEORGIA




## ოლეგ ხუბაშვილის ბიოგრაფია

ოლეგ ხუბაშვილი დაიბადა 1958 წლის 22 ოქტომბერს თიანეთის რაიონში. საბჭოთა კავშირის არმიაში სამსახურის შემდეგ მან აქტიურად დაიწყო ქრისტიანული მოღვაწეობა. მან შვედეთის „სიცოცხლის სიტყვის" უნივერსიტეტი დაამთავრა.

მისი ქრისტიანული ცხოვრება 1970-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც იგი საქართველოს „სახარების რწმენის ეკლესიის" მრევლი გახდა.

1980 წელს თბილისის სახარების რწმენის ეკლესიაში მან ახალგაზრდული მოძრაობა დააფუძნა, რომელსაც 2 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

1982 წელს ოლეგ ხუბაშვილი საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა, იგი ხელმძღვანელობდა და აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საქველმოქმედო თუ მახარებლურ ღონისძიებებში.

1980-იან წლებში მან ჩამოაყალიბა იატაკქვეშა სტამბა, სადაც სხვადასხვა სახის ქართულენოვანი ქრისტიანული ლიტერატურა იბეჭდებოდა. მან დააფუძნა „საქართველოს სახარების რწმენის ქრისტიანთა ასოციაცია", რომლის ბაზაზეც 1992 წლიდან 1996 წლამდე ფუნქციონირებდა უფასო სასადილო, რათა მძიმე სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები მოქალაქეებისა და პენსიონერებისათვის შიმშილით სიკვდილისაგან გადარჩენაში დახმარებოდა. იგი ასევე ორგანიზებას უწევდა საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის სახელით აფხაზეთიდან დევნილების დახმარებას, როგორც ფინანსური რესურსით ასევე მედიკამენტებით.

1992 წელს მისი ჩართულობით თბილისში გაიხსნა პირველი ბიბლიური კოლეჯი. 2001 წელს კი საერთაშორისო ორგანიზაცია „საღვთო ასამბლეასთან" თანამშრომლობით საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის ბაზაზე ჩამოყალიბდა თეოლოგიური ინსტიტუტი. მისი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს არაერთ რეგიონში ჩამოყალიბდა სახარების რწმენის ეკლესია.

2015 წელს პირველად, მისი უშუალო მეთვალყურეობითა და ინიციატივით გამოიცა ახალი რედაქციის ქართულენოვანი ბიბლია კომენტარებით.

2016 წელს დაფუძნდა ორგანიზაცია „ქრისტიანული საელჩო იერუსალიმიდან", რომლის ნაციონალური დირექტორიც ეპისკოპოსი ოლეგ ხუბაშვილი გახდა.

მას მინიჭებული აქვს საერთაშორისო ბიბლიური აკადემიის „ალფა და ომეგა"-ს მიერ აკადემიური დოქტორის ხარისხი, ხოლო კალიფორნიის შტატში არსებული ლათინური თეოლოგიური უნივერსიტეტის მიერ - თეოლოგიის დოქტორის საპატიო წოდება.

ოლეგ ხუბაშვილს ჰყავს მეუღლე, 5 ვაჟი, 3 ქალიშვილი და 10 შვილიშვილი.

## BIOGRAPHY OF OLEG KHUBASHVILI

Oleg Khubashvili was born on October 22, 1958 in the district of Tianeti. After serving in the army of the Soviet Union he actively started Christian activity. He graduated from the Swedish "Word of Life" University.

His Christian life began in the 1970s when he became a member of the parish of the Evangelical Faith Church of Georgia.

In 1980 he established a youth movement in Tbilisi Evangelical Faith Church which he headed for two years.

In 1982 Oleg Khubashvili became a bishop of the Evangelical Faith Church of Georgia. Despite the communist regime, he headed and was actively involved in various charitable or evangelical events.

In 1980s he founded the underground printing-house, where various types of Christian literature were printed in the Georgian language. He established the "Christian Association of Georgian Evangelical Faith", on the base of which from 1992 to 1996 a free dining room was functioning in order to save the citizens and pensioners living in severe social or economic conditions from death by hunger. In the name of the Evangelical Faith Church of Georgia, he also organized assistance for IDPs from Abkhazia with medicines and financial resources as well.

In 1992 through his involvement the First Bible College was opened in Tbilisi. In 2001, in cooperation with the international organization "Holy Assembly" the theological institute was established on the base of the Evangelical Faith Church of Georgia. During his tenure Evangelical Faith Church was established in many regions of Georgia.

In 2015 for the first time, with his immediate supervision and initiative, a new edition of Georgian Bible was published with comments.

In 2016 the organization "Christian Embassy from Jerusalem" was founded and Bishop Oleg Khubashvili became the national director.

He has been awarded the academic doctorate degree by the International Biblical Academy "Alpha and Omega" and the honorary title of the Doctor of Theology by the Latin Theological University of California.

Oleg Khubashvili has wife, 5 sons, 3 daughters and 10 grandchildren.





თბილისის ტაძარი, 2008 წ. - Tbilisi Church 2008 y



კრიშნას ცნობიერების
საერთაშორისო საზოგადოება

INTERNATIONAL
SOCIETY FOR KRISHNA
CONSCIOUSNESS




იოსებ კაპანაძე, საქართველოს კრიშნას საზოგადოების ხელმძღვანელი -
Ioseb Kapanadze, Head of the International Society for Krishna Consciousness



კრიშნას ტაძარი და სამლოცველო თბილისში
Krishna Temple and Chapel in Tbilisi



## შრილა დაიანანდა სვამის ბიოგრაფია

შრილა დაიანანდა სვამი ადრე ცნობილი, როგორც აბჰაი პრაბჰუ, მისი უწმინდესობა რადჰანათჰა სვამის მოსწავლე იყო. 1983 წელს 31 წლის ასაკში იგი შეუერთდა  კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოებას.

1986 წლიდან 2002 წლამდე იგი მსახურობდა მანჩესტერში, წიგნების გამავრცელებლად და ასევე ასრულებდა სხვადასხვა მსახურებებს ტაძარში.

2002-2015 წლებში დაიანანდა სვამი მსახურობდა ბჰაქტივედანტა მენორში.

2005 წლიდან იგი მოგზაურობს და ქადაგებს დიდ ბრიტანეთში, რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებში.

2011 წელს მან მისი უწმინდესობა რადჰანათჰა სვამისგან სანიასის ინიციატივა მიიღო შრი რამანუჯაჩარიას მოვლინების წმინდა დღესასწაულზე და კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების მეასე სანიასი გახდა.

როდესაც მისი უწმინდესობა დაიანანდა სვამი დიდ ბრიტანეთს სტუმრობს იგი მოგზაურობს, ატარებს გაკვეთილებს და ავრცელებს წიგნებს ქვეყნის მასშტაბით ნამაჰატების რაიონებში. იგი ასევე წიგნების გამოცდილი გამავრცელებელია, როგორც ქუჩაში ასევე კარდაკარ.

მისი უწმინდესობა შრილა დაიანანდა სვამი ამჟამად ფასდაუდებელ დახმარებას უწევს კრიშნას ცნობიერების ქადაგების გავრცელებას აღმოსავლეთ ევროპაში, დიდ ბრიტანეთსა და საქართველოში.

## BIOGRAPHY OF SRILA DAYANANDA SWAMI

Srila Dayananda Swami previously known as Abhay Prabhu was a disciple of His Holiness Radhanath Swami. In 1983 he joined the International Society for Krishna Consciousness at the age of 31.

From 1986 to 2002 he served in Manchester to spread books and performed various services in the temple.

In the years of 2002-2015 Dayananda Swami served in Bhaktivedanta Manor.

Since 2005 he has been traveling and preaching in Britain, Russia and neighboring countries.

In 2011 he took sannyasi initiation from His Holiness Radhanath Swami on the holy day of the appearance of Sri Ramanujacarya and became the 100$^{th}$ sannyasi of the International Society for Krishna Consciousness.

When His Holiness Dayananda Swami visits UK he travels, gives lessons and distributes books in Namahat regions throughout the country. He is also an experienced distributor of books, both in the street and door to door.

His Holiness Srila Dayananda Swami is currently providing invaluable assistance to the spread of preaching Krishna consciousness in Eastern Europe, Britain and Georgia.

კრიშნას ტაძარი და სამლოცველო თბილისში
Krishna Temple and Chapel in Tbilisi

